# ხელშეკრულება N2022/10/127

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

**(გამარტივებული შესყიდვა)**

ქ. თბილისი 23 მაისი 2022 წ.

**სიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“,** შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის **ლანა ჯიბლაძის** სახით და **შპს „ქართული ღვინის კოოპერაცია“** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის **ირაკლი ჩხაიძის** სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც, „მხარეები“ ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე და 2022 წლის 20 მაისის #155394/17 მოხსენებითი ბარათის გათვალსწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

**ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:**

**1.1** „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში – „ხელშეკრულება”) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

**1.2** „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

**1.3** „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

**1.4** „შემსყიდველი” – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

**1.5** „მიმწოდებელი” – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

**1.6** „საქონელი” – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონელი.

**1.7** „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

## 2. ხელშეკრულების საგანი

საჩუქრად გადასაცემი ღვინის შესყიდვა (დანართი N1-ის შესაბამისად) (CPV-18530000)

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

**3.1** ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ფასთა ცხრილის (დანართი N1) შესაბამისად და შეადგენს 504 (ხუთასოთხ ლარს) ლარს.

**3.2** ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

**4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:**

**ა)** შემსყიდველს დანართი N1-ით განსაზღვრული საქონელი მიაწოდოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 23 მაისისა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N15.

**ბ)** განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

**გ)** განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

**4.2 შემსყიდველი ვალდებულია:**

**ა)** უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

**ბ)** განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 5. ინსპექტირება

**5.1** შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს შემსყიდველის მისამართზე.

**5.2** ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი თანამშრომელი.

**5.3** შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

**5.4** შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია მხარეთა შორის შეთანხმებულ გონივრულ ვადაში უზრუნველყოს წუნის აღმიფხვრა.

## 6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

## 7. ანგარიშსწორება

**7.1** ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის საკუთარი შემოსავლები.

**7.2.** შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება–ჩაბარების აქტის, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების და თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, შემოსავლების სამსახურიდან წარმოდგენილი შესაბამისი ცნობის საფუძველზე, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

## 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

**8.1** თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

**8.2** იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

**9.1** წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

**9.2** წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

**9.3** წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,3%-ის ოდენობით.

**9.4** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3% შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების 10%-ის ოდენობით.

**9.5** პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

**10.1** ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

**10.2** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 11. დავების გადაწყვეტა

**11.1**. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

**11.2**. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

**12.1** თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

**12.2** ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**12.3** ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

## 14. ფორს-მაჟორი

**14.1**. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

**14.2**. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი

ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

**14.3**. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

**15. მხარეთა რეკვიზიტები:**

**შემსყიდველი**
**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,**
შესყიდვების სამსახურის უფროსის
**ლანა ჯიბლაძის** სახით,
**მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №22
**ხაზინის ერთიანი ანგარიში:**
№GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 707427078
სკ - 202238621

**მიმწოდებელი**
**შპს „ქართული ღვინის კოოპერაცია“**
წარმოდგენილი დირექტორის
**ირაკლი ჩხაიძის** სახით
**მის:** ქ. თბილისი, გ. შავგულიძის ქ.,N7
მეილი: l.chikhladze@8000vintages.ge
ტელ: 571 231 100
**საბანკო რეკვიზიტები:**
ანგ. № GE27TB7171736060100002
სს „თიბისი ბანკი“, კოდი: TBCBGE22,
სკ - 405117369

| N | შესყიდვის ობიექტი | რაოდენობა (ცალი) | ერთეულის ღირებულება (ლარი) | სულ ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | როიალ ხვანჭკარა - უსახელაური წით. ნახ/ტკ 2019 | 4 | 126.00 | 504.00 |
| | | | ჯამი: | 504.00 |

**შემსყიდველი**
**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,**
შესყიდვების სამსახურის უფროსის
**ლანა ჯიბლაძის** სახით

**მიმწოდებელი**
**შპს „ქართული ღვინის კოოპერაცია“**
წარმოდგენილი დირექტორის
**ირაკლი ჩხაიძის** სახით

Irakli Chkhaidze 11001005127
Digitally signed by Irakli Chkhaidze
Date: 2022.05.23 11:33:30

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2022 წლის 23 მაისი

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, **საჩუქრად გადასაცემი ღვინის** შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, **შპს „ქართული ღვინის კორპორაციასთან"** ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

**სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს**
**შესყიდვების სამსახურის უფროსი:** **ლანა ჯიბლაძე**